

## პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგია

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) – (შემდგომში-კრედიტი) მინიჭების მეთოდოლოგია (შემდგომში-მეთოდოლოგია) შემუშავებულია „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანების საფუძველზე.
2. მეთოდოლოგიის მიზანია განსაზღვროს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (შემდგომში-სტანდარტი) შემუშავება/განვითარების პროცესში სწავლის შედეგისთვის/მოდულისთვის კრედიტების მინიჭების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

### მუხლი 2. კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგიური ასპექტები

1. კრედიტების მინიჭება ხორციელდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე განისაზღვრება კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების მინიმალური მოცულობა; მეორე ეტაპზე ხორციელდება სწავლის შედეგების მოცულობის განსაზღვრა კრედიტებში; ხოლო მესამე ეტაპზე დგინდება მოდულისთვის კრედიტების ჯამური მოცულობა.
2. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების მინიმალური მოცულობა დგინდება სტანდარტით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე.
3. შემდეგ ეტაპზე განისაზღვრება პროფესიული მოდულის თითოეული სწავლის შედეგის ხვედრითი წონა სტანდარტთან მიმართებაში. ამ მიზნისთვის უნდა დადგინდეს კრედიტების მოცულობა, რომლის განაწილებაც მოხდება პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე. აღნიშნულისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

**სტანდარტით განსაზღვრული კრედიტების მინიმალური მოცულობა**  
**- ზოგადი მოდულების კრედიტების ჯამი**  
**= პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე გასანაწილებელი**  
**კრედიტების მოცულობა (c)**

მაგ: თუ „x“ სტანდარტისთვის კრედიტების მინიმალური მოცულობა დადგენილია 120 კრედიტის სახით, ხოლო ამავე სტანდარტში ზოგადი მოდულების კრედიტების ჯამური მოცულობა განისაზღვრება 15-ით, მაშინ დარჩენილი სხვაობა 105 კრედიტი უნდა განაწილდეს სტანდარტში შემავალ ყველა პროფესიული მოდულის სწავლის შედეგზე.

4. სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში არის რიცხვითი გამოსახულება, რომელიც სწავლის შედეგს ენიჭება კონკრეტული კვალიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე მისი მნიშვნელოვნების გათვალისწინებით.
5. დასაშვებია სხვადასხვა კვალიფიკაციის ფარგლებში ერთიდაიმავე სწავლის შედეგისთვის კრედიტების განსხვავებული მოცულობის მინიჭება.
6. სწავლის შედეგისთვის მისანიჭებელი კრედიტების მოცულობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:
  - ა) სწავლის შედეგის მნიშვნელოვნება პირისთვის შრომის ბაზარზე გასვლის ან სოციალური ინტეგრაციისთვის;
  - ბ) სწავლის შედეგის სირთულე, მასშტაბურობა და კომპლექსურობა;
  - გ) პირის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად გასაწევი ძალისხმევა.
7. სტანდარტის შემუშავების/განვითარების პროცესში პროფესიული მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი ფასდება ამ მეთოდოლოგიის დანართი N1-ით განსაზღვრული ცხრილის მიხედვით. ცხრილში განსაზღვრული თითოეული კომპონენტი ფასდება 3 ბალიანი შკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს დაბალ შეფასებას, ხოლო 3 ქულა - მაღალ შეფასებას.
8. პროფესიული მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შემდეგ გამოითვლება საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მეათედამდე სიზუსტით), რომელიც წარმოადგენს ამ სწავლის შედეგის შუალედურ კოეფიციენტს.
9. პროფესიული მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტის დასადგენად სტანდარტის შემუშავებელი/განმავითარებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას არანაკლებ 10 დარგის/სფეროს წარმომადგენლის შეფასება. წარმოდგენილი შეფასებების საფუძველზე გამოითვლება საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მეათედამდე სიზუსტით), რომლითაც განისაზღვრება სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტი (K).
10. დარგის/სფეროს წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
  - ა) შესამუშავებელი/გადასამუშავებელი სტანდარტის/მოდულის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;
  - ბ) შესამუშავებელი/გადასამუშავებელი სტანდარტის/მოდულის შესაბამისი სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაო გამოცდილება;
  - გ) შესამუშავებელი/გადასამუშავებელი სტანდარტის/მოდულის შესაბამის სფეროში არსებული სახელმწიფო დაწესებულების ან/და პროფესიული ასოციაციის წევრობა.
11. მას შემდეგ რაც პროფესიული მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდება საბოლოო კოეფიციენტი (K) ის გადაყვანილი უნდა იქნას კრედიტებში. ამისთვის, სწავლის შედეგისთვის დადგენილი კოეფიციენტი (K) უნდა გამრავლდეს პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე გასანაწილებელი კრედიტების მოცულობაზე (c) და გაიყოს ყველა სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტის ჯამზე. მიღებული შედეგი მრგვალდება მთელ რიცხვამდე სიზუსტით. აღნიშნული ფორმულა შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$(K * C) / \sum (K),$$

სადაც K არის კონკრეტული სწავლის შედეგისთვის დადგენილი საბოლოო კოეფიციენტი, C - პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე გასანაწილებელი კრედიტების მოცულობა,  $\sum (K)$  - ყველა სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტების ჯამი

მაგ: “X” სტანდარტის კონკრეტული „სწავლის შედეგის 1“-ის კრედიტების მოცულობის გამოსათვლელად, მიმდევრობით უნდა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები:

1) განისაზღვროს ამ სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტი, რისთვისაც უნდა დაანგარიშდეს დარგის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შუალედური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული.

სწავლის შედეგი	შემფასებელი	მნიშვნელოვნება	სირთულე,მა სშტაბურობა და კომპლექსურ ობა	სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ძალისხმევა	საშუალო კოეფიციენტი
სწავლის შედეგი 1	A	1	2	3	2
	B	2	1	2	1.7
	C	3	3	1	2.3
	D	1	2	3	2
	F	2	1	2	1.7
	G	3	3	1	2.3
	H	1	2	3	1.7
	I	1	1	1	1
	J	2	2	1	1.7
	K	1	1	2	1.3
	<b>საბოლოო კოეფიციენტი</b>				<b>Σ 1.8</b>

2) ასეთივე გზით უნდა განისაზღვროს ყველა პროფესიული მოდულის სწავლის შედეგის საერთო კოეფიციენტი. დაეუშვათ, რომ სტანდარტი შედგება 10 სწავლის შედეგისგან და მათი საბოლოო კოეფიციენტები განაწილდა შემდეგნაირად:

სწავლის შედეგი	საბოლოო კოეფიციენტი
სწავლის შედეგი 1	1.8
სწავლის შედეგი 2	1.3
სწავლის შედეგი 3	1.2
სწავლის შედეგი 4	2.3
სწავლის შედეგი 5	2.1
სწავლის შედეგი 6	1.7
სწავლის შედეგი 7	1.5
სწავლის შედეგი 8	2.1
სწავლის შედეგი 9	2
სწავლის შედეგი 10	3

ასეთ შემთხვევაში კონკრეტული სწავლის შედეგისთვის საბოლოო კოეფიციენტის გამოანგარიშება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

$$(1.8 * 105) / 19 = 10$$

შესაბამისად, ამ სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში იქნება 10 კრედიტი.

12. მოდულისთვის კრედიტების ჯამური მოცულობა გამოითვლება ამ მოდულში შემავალი სწავლის შედეგების კრედიტების ჯამით.  
მაგ: თუ კონკრეტული მოდული შედგება 3 სწავლის შედეგისგან, საიდანაც სწავლის შედეგი1 = 10 კრედიტს, სწავლის შედეგი2 = 2 კრედიტს და სწავლის შედეგი3 = 1 კრედიტს, ამ მოდულის კრედიტი იქნება  $10+2+1 = 13$ .
13. დამოუკიდებელი მოდულების შემთხვევაში, მოდულში შემავალ სწავლის შედეგებზე კრედიტების განაწილება ხორციელდება იგივე პრინციპების დაცვით. ამ შემთხვევაში თითოეული სწავლის შედეგის მოცულობა განისაზღვრება მოდულით დადგენილი კრედიტების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.
14. ზოგადი მოდულების სწავლის შედეგებზე კრედიტების განაწილება ხორციელდება კონკრეტული მოდულის დამტკიცების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი N1: სწავლის შედეგების შეფასების ცხრილი

სწავლის შედეგი	შემფასებელი	მნიშვნელოვნება	სირთულე, მასშტაბურობა და კომპლექსურობა	სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ძალისხმევა	საშუალო კოეფიციენტი
	1				
	2				
	3				
	4				
	5				
	6				
	7				
	8				
	9				
	10				
	საბოლოო კოეფიციენტი				Σ